საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 27 თებერვალი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
8. ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო
9. არნოლდ სტეპანიანი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო”
10. ნატო ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
11. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია ქალი და ბიზნესი
12. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა

განსახილველი საკითხები:

შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

დაგეგმილია სამუშო შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან. განხილული იქნება უმრავლესობაში შემავალი რამდენიმე დეპუტატის მიერ მომზადებული "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის პროექტი.

შეხვედრაში მონაწილები პირები თანხმდებიან, რომ ინიცირებული კანონპროექტი ანტიდემოკრატიულია, ანტიკონსტიტუციურია, ზღუდავს ადამიანის უფლებებს, დისკრინმინაციულია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის მიმართ. მიიჩნევენ, რომ კანონის პირველი მოსმენით მიღება შეუძლებელს გახდის ევროკავშირის მიერ 12-პუნქტიანი გეგმის მე-10 «სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე» და მე-7 «განახორციელოს უფრო ძლიერი ძალისხმევა თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველსაყოფად» პუნქტების შესრულებას.

სამოქალაქო საზოგაოდბის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ამ კანონპროექტის განხილვაც კი აზიანებს და საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ მომავალს, სესაბამისად დაუშვებლად მიიჩნევენ მისი პირველი მოსმენით მიღებას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე